საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოგა კიკილაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის

ნიკოლოზ მარსაგიშვილის

კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 02 ივლისის N1/53 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი (შემდგომში - „კანდიდატი").

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 18 ივლისს, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა „კანდიდატის საჯარო მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 22 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/75 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 01 აგვისტოს, საბჭოს ღია სხდომაზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის

თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე კანდიდატთა საჯარო მოსმენის შედეგების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ჩემ მიერ კომპოტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატი შეფასებულია 92 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 92%-ს შეადგენს.

საჯარო მოსმენის ფორმატში კანდიდატმა გამოავლინა კანონმდებლობის, ასევე ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატი ასევე გამოირჩევა მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილებით (როგორც სამოსამართლო, ისე არა სამოსამართლო საქმიანობის დროს) მათ შორის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. კანდიდატის სპეციალობით მუშაობის სტაჟი აღემატება 25 წელს, სხვადასხვა დროს კანდიდატი მუშაობდა საქართველოს პროკურატურის ორგანოებსა და სასამართლოში, მათ შორის ეკავა მენეჯერული თანამდებობები ამავე სამსახურის სისტემებში.

კანდიდატმა საერთო რეიტინგში დააგროვა მაქსიმალური შეფასების (93,00 %) და დაიკავა პირველი ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად.

გოგა კიკილაშვილი ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

04/08/2024